



№ 001161/31

07/02/2019

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ – პრეზიდიუმი) შემდეგი შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი – გენერალური აუდიტორი, პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე
2. დავით გოგიჩაიშვილი – გენერალური აუდიტორის მოადგილე
3. ეკატერინე ლაზაძე – გენერალური აუდიტორის მოადგილე
4. ზაზა შეყილაძე – სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
5. სოფიო დვალიშვილი – თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
6. თორნიკე შერმადინი – ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
7. გიორგი კვეციანიშვილი – საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
8. ნატო ზაალიშვილი – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
9. გიორგი გაჩეჩილაძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი
10. ცოტნე ქარქაშაძე – სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი
11. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
12. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
13. გიორგი მამრიკიშვილი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის ავტორი: შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“ (შემდგომ – ცენტრი).

წარმომადგენლები: ირაკლი აბაშიძე (ცენტრის დირექტორი), იმედო არჯევანიძე (N08 მინდობილობა; 07/02/2019).

მოწინააღმდეგე მხარე: აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

წარმომადგენლები: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ნოე ქაშიბაძე, აუდიტორები: მიხეილ გოდოლაძე და ეთერ კაცაძე.

დავის საგანი: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 9 იანვარს დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის N1/36 ანგარიშის ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

I

აღწერილობითი ნაწილი:

პრეზიდენტმა 2019 წლის 28 იანვარს N05 საჩივრით მომართა ცენტრმა (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 28.01.2019; N705/29) და მოითხოვა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 9 იანვარს დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის N1/36 აუდიტის ანგარიშის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ:

1. საჩივრის ავტორი არასრულად წარმოებული სამედიცინო დოკუმენტების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ. 22-24) აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ფაქტობრივად ჩატარდა როგორც შესაბამისობის, ისე ფინანსური აუდიტი. საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია, როდესაც აუდიტი ეხებოდა სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლას, რატომ განხორციელდა ცენტრის სამედიცინო საქმიანობის შემოწმება, კერძოდ, აუდიტი შეეხო 2015-2017 წლებში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა ბარათების წარმოების საკითხს და შემოწმდა არა პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსების განკარგვის მართებულობა, რაც უშუალოდ შესაბამისობის აუდიტის მიზანს წარმოადგენს, არამედ ცენტრის საქმიანობის კანონიერება.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ცენტრის საქმიანობა, მათ შორის სადავო პერიოდის, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსაც აქვს შემოწმებული, რომლის აქტი გასაჩივრდა სასამართლოში, ვინაიდან ცენტრის დაჯარიმების საფუძველი არ არსებობს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გაურკვეველია, რის საფუძველზე იქნა დადგენილი აუდიტორების მიერ ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხის მოცულობა. კერძოდ, საჩივრის ავტორი მიუთითებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ რეგულაციებზე და განმარტავს, რომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ის ფაქტი, რომ მომსახურება გაეწიათ და დარეგისტრირებული იყვნენ სწორედ ამ პროგრამით მოსარგებლე პირები (სტატუსი სადავო არ არის). საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ 2013-2014 წლებში დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც თანხმობის ფორმები კანონის მოთხოვნათა დაცვით არ იყო შევსებული, ვინაიდან ეს იყო პროგრამის ამოქმედების პერიოდი და ნათლად არ იყო ჩამოყალიბებული რეგულაციები, ასევე დაფიქსირდა დარღვევის ფაქტები ბენეფიციარის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია აუდიტის ანგარიშის შესაბამისად დარიცხული ჯარიმების განსაზღვრის პრინციპი და განმარტავს, რომ დარიცხული ჯარიმა განისაზღვრება დარღვევის დროს მოქმედი ნორმებით („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი). შესაბამისად, 2013 წლის თებერვლის თვისთვის მოქმედი N36 დადგენილების მე-19 მუხლის მე-14 პუნქტი ადგენდა, რომ თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებდა გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), რევიზიისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, საჯარიმო სანქციების ოდენობა განისაზღვრებოდა თითოეულ შემთხვევაზე შესაბამის თვეში ასანაზღაურებელი თანხის 0,5%-ით, მაგრამ არა უმეტეს, თვეში ჯამურად 3 000 ლარისა. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს პროგრამის მე-19 მუხლის მე-14 პუნქტის მოქმედ რედაქციაზე, რომლის შესაბამისად, თუ დაწესებულება დაფინანსებას იღებს

გლობალური ბიუჯეტის პრინციპით (კაპიტაციით), ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე: ა) ბენეფიციარის რეგისტრაციის (მათ შორის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების) წესების დარღვევის გამო, საჯარიმო სანქციების ოდენობა ანაზღაურებულ შემთხვევებზე განისაზღვრება ამ ბენეფიციარზე დარღვევით რეგისტრაციის მთელ პერიოდში ანაზღაურებული თანხის ორმაგი ოდენობით, ხოლო ასანაზღაურებელი შემთხვევების დროს – პროგრამით გათვალისწინებული თანხის ორმაგი ოდენობით. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი გაჩნდა მხოლოდ 2017 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად და წინა პერიოდზე 2017 წელს ამოქმედებული სანქციის შეფარდება არ არის მოქცეული სამართლებრივ ჩარჩოში. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის N536 დადგენილებაზე, რომლითაც ცვლილება შევიდა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებაში და დამატა 3¹ მუხლი, რომლის თანახმად: ამ დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის ამავე კომპონენტის ფარგლებში კონტროლისა და რევიზიის შედეგად, საჯარიმო (მათ შორის, სადავო) სანქციების ამავე დადგენილების N1 დანართის 19¹ მუხლით განსაზღვრულ გადახდის ადმინისტრირების ღონისძიებებზე გამოცხადდა მორატორიუმი ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე; ამასთანავე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, 2019 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს მთავრობას წარუდგინოს წინადადებები ამ დადგენილების N1 დანართით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მიმწოდებელი დაწესებულებების მიმართ პროგრამის ზედამხედველობის შედეგად საჯარიმო სანქციების დაკისრებისა და მათი ადმინისტრირების განმსაზღვრელი პირობების ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ცენტრის საქმიანობის (ბენეფიციართა რეგისტრაციის) კანონიერების საკითხზე დავის მიუხედავად, ისეთ პირობებში, როდესაც სპეციალური ნორმებით გამოცხადებულია მორატორიუმი გადახდის ადმინისტრირების ღონისძიებებზე, გაურკვეველია, რის საფუძველზე დააკისრა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ცენტრს 352 235 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება. ლოგიკასაა მოკლებული ისიც, რომ ერთსა და იმავე გადაცდომაზე ცენტრს საჯარიმო სანქცია დაეკისროს, როგორც სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემოწმების აქტით, ისე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის ანგარიშის საფუძველზე.

2. საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (სასამართლო დავები - „უძრავი ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები“, გვ. 21-22) არსებულ ჩანაწერს, რომ ცენტრის მიერ არ არის დაცული „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრმა აღნიშნულ საკითხზე წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის, სასამართლოში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, ცენტრის დამფუძნებელი პარტნიორის - აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ცენტრის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი აუდიტის ანგარიშში არ არის დიფერენცირებული.

საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება აუდიტორულ შეფასებას, რომ ცენტრი ვალდებული იყო, მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული საოფისე ფართი 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში პირობით აქტივად აესახა, მაშინ როდესაც ცენტრის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული და სადავო ფართი, არსებული სამართლებრივი მდგომარეობით, უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, გადაცემული აქვს შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოფთალმოლოგიურ კლინიკას“, რომელიც ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულია, ფართი თავის ბალანსზე აიყვანოს (ბასს 37-ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, 89-ე პუნქტი; „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ფინანსური აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

3. საჩივრის ავტორი რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებული ნაკლოვანებების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ.15-16) აღნიშნავს, რომ მართალია, ცენტრის მხრიდან არ იყო დაცული დამფუძნებელთან შეთანხმების შესახებ წესდებით დადგენილი მოთხოვნა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ცენტრი მოგებაზე ორიენტირებული კერძო სამართლის იურიდიული პირია და გინეკოლოგიური კაბინეტის მოწყობით მან სარგებელი მიიღო. ამასთანავე, ცენტრს არაერთხელ ჰქონდა დაყენებული ყოველწლიური მოგების რეინვესტირებაზე მოთხოვნა, თუმცა დამფუძნებლის მხრიდან ხორციელდება დესტრუქციული ქმედებები. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს ქალთა კონსულტაციის შემცირებული შემოსავლების შესახებ აუდიტის ანგარიშში არსებულ ჩანაწერზე და განმარტავს, რომ ცენტრს ამ ნაწილში არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა აღებული.

უნებართვოდ გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით (აუდიტის ანგარიში, გვ.17) საჩივრის ავტორი ეთანხმება აუდიტის შეფასებას და განმარტავს, რომ დამფუძნებელთან შეთანხმების წესის დარღვევა გამოიწვია ცენტრის მხრიდან წესდების შესაბამისი მოთხოვნის არასწორმა ინტერპრეტაციამ.

4. საჩივრის ავტორი ხელფასების დარიცხვა-გაცემისას გამოვლენილი ნაკლოვანებების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ.18-19) განმარტავს, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების (26381.58 ლარი) მიუღებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ცენტრი პერმანენტული შემოწმების რეჟიმში იყო – ცენტრს ამოწმებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ასევე აფხაზეთის ა/რ აუდიტის სამსახური, რის გამოც, ცენტრის თანამშრომლები დაკავებული იყვნენ რა მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა ინფორმაციის მომზადებით, გამორჩათ შეტყობინების ვადა. ამ ფაქტზე ცენტრის თანამშრომელს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ცენტრის თანამშრომლებზე ხელფასები გაიცა შიდა სტანდარტით მიღებული შემოსავლებიდან, რაც დამფუძნებლის თანხმობას არ საჭიროებს.

5. საჩივრის ავტორი საშემოსავლო გადასახადის არასწორი გაანგარიშებით გაცემული ხელფასების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ.19-20) განმარტავს, რომ საშემოსავლო დეკლარაციების დაზუსტება/კორექტირება და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამუშაო პროცესის ნაწილია, რომლის ფარგლებში, საშემოსავლო დეკლარაციების დაზუსტება დეკემბრის თვეში განხორციელდა.

6. საჩივრის ავტორი ფინანსური ანგარიშგების ფორმების ნაკლოვანებების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ. 20-21) აღნიშნავს, რომ ცენტრის მიერ ფინანსური ანგარიშგების ფორმების წარდგენა ხორციელდებოდა დადგენილი სტანდარტების – აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად და აღნიშნულზე დამფუძნებელს პრეტენზია არ ჰქონია.

მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის წერილობითი მოსაზრებებით (06.02.2019; N001107/19) ცენტრის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

საჩივრის გაცნობის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში არსებული მასალებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პრეზიდიუმი მივიდა დასკვნამდე, რომ ცენტრის 2019 წლის 28 იანვრის N05 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 28.01.2019; N705/29) ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. არასრულად წარმოებული სამედიცინო დოკუმენტების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ. 22-24) პრეზიდენტი ადგენს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, კერძოდ:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „შესაბამისობის აუდიტი მოიცავს აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას“ (მუხლი 2. „ზ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის შესაბამისად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობას და ანგარიშვალდებულებას, საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, აგრეთვე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას“ (მუხლი 4). აღნიშნული კანონის მიხედვით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას იყენებს აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დეკლარირებულ საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს“ (მუხლი 26.1). აუდიტის საგნის, მასშტაბისა და მიზნის შესაბამისად, აუდიტორთა მიერ შემოწმდა ცენტრის სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, რომლის სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, პროფესიული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლებელია შესწავლილ იქნეს სახსრების წარმომავლობა, რაც მოცემული აუდიტის ფარგლებში განხორციელდა. ამდენად, საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ შემოწმდა ცენტრის სამედიცინო საქმიანობა და შესწავლა აუდიტის მიზანს სცდება, საფუძველს მოკლებულია.

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ აღნიშნულ ნაწილში ცენტრის საქმიანობის აუდიტის კრიტერიუმს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის N01-19/ნ ბრძანება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“. მოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისად, შემთხვევები, როდესაც მოსარგებლის რეგისტრაციის თანხმობის ფორმას არ ერთვის მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ბრძანება N01-19/ნ, 17/03/2014, მუხლი 5) ან თანხმობა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით არ არის დადასტურებული (დადგენილება N36, 21/02/2013, დანართი N1, მუხლი 23), არასწორად მიღებული დაფინანსების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს (დადგენილება N36, 21/02/2013, დანართი N1, მუხლი 19). პრეზიდენტი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები აუდიტით გამოვლენილი აღნიშნული დარღვევის ფაქტების უარსაყოფად, რომელთა დაკავშირებით მიღებული დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა შემდეგი პრინციპით: 5096 (ბენეფიციარი) \times 1.92 (საშუალო კაპიტაციური მაჩვენებელი) \times 3 (წელი) \times 12 (თვე) = $352,235.52$ ლარი.

პრეზიდენტი ასევე განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების დანართი N1-ის მე-19 მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, საჯარიმო სანქციის დარიცხვას ახორციელებს ამავე დადგენილებით განსაზღვრული პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება. სწორედ ამ დაწესებულების მიერ პროგრამის ზედამხედველობის ფარგლებში საჯარიმო სანქციის ადმინისტრირებაზე ვრცელდება დადგენილებით განსაზღვრული მორატორიუმის რეგულაცია.

2. უძრავი ქონების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით (აუდიტის ანგარიში, გვ. 21-22):

ა) უდავოდ დადგენილი გარემოებაა, რომ ცენტრი თბილისში, კალოუზნის ქ. N16-ში მდებარე ფართით სარგებლობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები საქმეში არსებული მასალა საკითხის გადასაწყვეტად ცენტრის მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

შესაბამისად, პრეზიდიუმი საფუძვლიანად მიიჩნევს საჩივრის ავტორის მოთხოვნას, რომ აუდიტის ანგარიშის იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ ცენტრის მიერ არ არის დაცული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები, შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

ბ) პრეზიდიუმი იზიარებს აუდიტორულ შეფასებას, რომ ცენტრის ფაქტობრივ მფლობელობაში (მიმდინარეობს სასამართლო დავა ცენტრის მიერ ამ ფართით სარგებლობის უფლების დაკანონების თაობაზე) არსებული ფართი (მისამართი: თბილისი, კალოუზნის ქ. N16), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს) 37-ის 89-ე პუნქტის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნების ფორმაში) პირობით აქტივად უნდა ასახულიყო. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, „როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობითი აქტივის მოკლე აღწერა, ხოლო, თუ პრაქტიკულად შესაძლებელია – მათი 36-52-ე პუნქტებით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, შეფასებული ფინანსური ეფექტი“.

შესაბამისად, პრეზიდიუმი ადგენს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

3. რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებული ნაკლოვანებებისა და უნებართვოდ გაფორმებული ხელშეკრულებების საკითხებზე (აუდიტის ანგარიში, გვ. 15-17), საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის საჩივრის ავტორის განმარტებით, დგინდება ცენტრის წესდებით განსაზღვრული დამფუძნებელთან შეთანხმების წესის დაუცველობა.

შესაბამისად, პრეზიდიუმი ადგენს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

4. ხელფასების დარიცხვა-გაცემისას გამოვლენილი ნაკლოვანებების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ.18-19), საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის საჩივრის ავტორის განმარტებით, დგინდება, რომ ცენტრის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაფინანსების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით. შედეგად, ცენტრმა ვერ მიიღო შესაბამისი დაფინანსება. ამასთანავე, ხელფასების გაცემა განხორციელდა საკუთარი კაპიტალიდან ცენტრის წესდებით განსაზღვრული დამფუძნებელთან შეთანხმების გარეშე.

შესაბამისად, პრეზიდიუმი ადგენს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

5. საშემოსავლო გადასახადის არასწორი გაანგარიშებით გაცემული ხელფასების საკითხზე (აუდიტის ანგარიში, გვ.19-20), საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის საჩივრის ავტორის განმარტებით, დგინდება, რომ ცენტრმა კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ წარადგინა 2015-2017 წლების საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები, რომელთა დაზუსტება-კორექტირება განხორციელდა 2018 წლის დეკემბერში.

შესაბამისად, პრეზიდიუმი ადგენს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

6. ფინანსური ანგარიშგების ფორმების ნაკლოვანებებზე (აუდიტის ანგარიში, გვ. 20-21) აუდიტორული მიგნების უსაფუძვლობის შესახებ საჩივრის ავტორის პოზიცია, იმ გარემოებაზე

აპელირებით, რომ დამფუძნებელს არ ჰქონია პრეტენზია ცენტრის მიერ წარდგენილი ანგარიშგების ფორმებზე, დაუსაბუთებელია.
შესაბამისად, პრეზიდიუმი ადგენს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

III სარეზოლუციო ნაწილი

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა:

ცენტრის 2019 წლის 28 იანვარის N05 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 28.01.2019; N705/29) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

1. აუდიტის ანგარიშის იმ ნაწილში (აუდიტის ანგარიში გვ. 22, დასკვნის პირველი წინადადება), რომელიც შეეხება ცენტრის მიერ უძრავი ქონებით სარგებლობის საკითხს, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.
2. სხვა ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი



დავით გოგიჩაიშვილი
გენერალური აუდიტორის მოადგილე



ეკატერინე ღაზაძე
გენერალური აუდიტორის მოადგილე



ზაზა შეყილაძე

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

თორნიკე შერმადინი

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კეკელიშვილი

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნატო ზაალიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

გიორგი გაჩეჩილაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სახელმწიფო
ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ცოტნე ქარქაშაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი კაპანაძე

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

ალექსანდრე გოგოლაშვილი
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

2. 